

შპს „ჯორჯიან პლასტიკ პაიპსი“

ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

სარჩევი

მოგება/ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	3
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	4
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება.....	5
ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები	6
1. კორპორატიული ინფორმაცია	6
2. მომზადების საფუძველი	6
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა.....	7
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები	10
5. შემოსავალი რეალიზაციიდან.....	11
6. რეალიზებული პროდუქტის თვითღირებულება	11
7. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	11
8. ძირითადი საშუალებები	12
9. მარაგები.....	13
10. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	13
11. ფული და ფულის ექვივალენტები	13
12. სავაჭრო ვალდებულებები და მიღებული ავანსები	13

შპს „ჯორჯიან პლასტიკ პაიპსი“

მოგება/ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

შპს „ჯორჯიან პლასტიკ პაიპსი“

მოგება/ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2023 (არააუდიტირებული)	31 დეკემბერი 2022 (არააუდიტირებული)
შემოსავალი რეალიზაციიდან	5	4,352,678	5,562,300
რეალიზებული პროდუქტის თვითღირებულება	6	(2,532,549)	(3,793,050)
საერთო მოგება		1,820,129	1,769,250
რეალიზაციისა და დისტრიბუციის ხარჯები		(69,964)	(48,988)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	7	(646,614)	(515,089)
საოპერაციო მოგება/(ზარალი)		1,103,551	1,205,173
სხვა არასაოპერაციო ხარჯი		(3,597)	(1)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი		693	3
საპროცენტო შემოსავალი		11,069	12,796
მოგება/(ზარალი) სავალუტო ოპერაციებიდან		(305)	(486)
მოგება/(ზარალი) გადასახადების გადახდადამდე		1,111,411	1,217,486
მოგების გადასახადი		-	-
წლის სრული მოგება/(ზარალი)		1,111,411	1,217,486

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია შემოწმების სახელით: 2024 წლის 28 სექტემბერს:

დამოუკიდებელი
დარღვევების
აუდიტორი



9-12 გვერდები შეასრულები შემოწმების წარმომადგენელმა ფინანსური ანგარიშგების განყოფილებაში

შპს „ჯორჯიან პლასტიკ პაიპსი“

მოგება/ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2023 (არააუდიტირებული)	31 დეკემბერი 2022 (არააუდიტირებული)
შემოსავალი რეალიზაციიდან	5	4,352,678	5,562,300
რეალიზებული პროდუქტის თვითღირებულება	6	(2,532,549)	(3,793,050)
საერთო მოგება		1,820,129	1,769,250
რეალიზაციისა და დისტრიბუციის ხარჯები		(69,964)	(48,988)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	7	(646,614)	(515,089)
საოპერაციო მოგება/(ზარალი)		1,103,551	1,205,173
სხვა არასაოპერაციო ხარჯი		(3,597)	(1)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი		693	3
საპროცენტო შემოსავალი		11,069	12,796
მოგება/(ზარალი) სავალუტო ოპერაციებიდან		(305)	(486)
მოგება/(ზარალი) გადასახადების გადახდამდე		1,111,411	1,217,486
მოგების გადასახადი		-	-
წლის სრული მოგება/(ზარალი)		1,111,411	1,217,486

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2024 წლის 28 სექტემბერს:

დავით კაკაბაზე
დირექტორი

5-12 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

შპს „ჯორჯიან პლასტიკ პაიპსი“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2023 (არააუდიტირებული)	31 დეკემბერი 2022 (არააუდიტირებული)
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	8	902,311	1,020,797
სულ გრძელვადიანი აქტივები		902,311	1,020,797
მიმდინარე აქტივები			
მარაგები	9	1,028,467	1,017,880
მისაღები პროცენტები		-	-
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	10	2,792,548	1,653,242
ფული და ფულის ექვივალენტები	11	105,892	247,762
სულ მიმდინარე აქტივები		3,926,907	2,918,884
სულ აქტივები		4,829,218	3,939,681
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		2,000	2,000
გაუნაწილებელი მოგება		4,338,080	3,826,669
სულ კაპიტალი		4,340,080	3,828,669
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები და მიღებული ავანსები	12	189,138	111,012
გადასახდელი დივიდენდები		300,000	-
სულ მიმდინარე ვალდებულებები		489,138	111,012
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		4,829,218	3,939,681

5-12 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს ამ ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

შპს „ჯორჯიან პლასტიკ პაიპსი“

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

(არააუდიტირებული)	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	ჯამი
ბალანსი 1 იანვარი 2022	2,000	1,722,749	1,724,749
პერიოდის სრული მოგება-ზარალი	-	1,217,486	1,217,486
გამოცხადებული დივიდენდები	-	-	-
სხვა ცვლილება გაუნაწილებელ მოგებაში	-	-	-
გადაფასების რეზერვი	-	886,434	886,434
ბალანსი 31 დეკემბერი 2022	2,000	3,826,669	3,828,669
პერიოდის სრული მოგება-ზარალი	-	1,111,411	1,111,411
გამოცხადებული დივიდენდები	-	(600,000)	(600,000)
სხვა ცვლილება გაუნაწილებელ მოგებაში	-	-	-
ბალანსი 31 დეკემბერი 2023	2,000	4,338,080	4,340,080

5-12 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს ამ ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

1. კორპორატიული ინფორმაცია

ჯორჯიან პლასტიკ პაიპსი (შემდგომში კომპანია) არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება და სს „სოკარ ჯორჯია გაზ დისტრიბუშენის“ შვილობილ კომპანიას წარმოადგენს. იგი დაარსდა 2010 წლის 14 იანვარს და არსებობს როგორც დამოუკიდებელი ერთეული. კომპანიის საიდენტიფიკაციო ნომერია 232558354.

ძირითადი საქმიანობა. შპს „ჯორჯიან პლასტიკ პაიპსი“-ს ძირითად საქმიანობას წარმოადგენს მაღალი სიმკვრივის პოლიეთილენის მილების წარმოება. კომპანიაში დასაქმებულია 34 თანამშრომელი.

იურიდიული მისამართი და საქმიანობის ადგილი. კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, კასპის რაიონი, სადგური მეტეხი.

კომპანიის მეწილეები: ფინანსური ანგარიშგების მომზადების თარიღისთვის, ისევე როგორც საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში კომპანიის 50-50%-იან წილებს სს „სოკარ ჯორჯია გაზ დისტრიბუშენი“ და შპს „გ.ნათაძის სახელობის სანიტარიის, ჰიგიენის და სამედიცინო ეკოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი“ ფლობენ.

2. მომზადების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. ფინანსური უწყისები წარმოდგენილია და დამრგვალებულია ერთეულ ლარში, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე 12 თვიან პერიოდს.

შესაბამისობის განცხადება. აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება მომზადდა 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, როგორც მცირე და საშუალო ზომის კომპანიებისთვის განსაზღვრული ფინანსური ანგარიშგების შედგენის საერთაშორისო სტანდარტის (შემდგომში მსს ფასს) გათვალისწინებით.

აღნიშნული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობამ გამოიყენა მოსალოდნელი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, ფაქტები და გარემოებები და საბუღალტრო პოლიტიკა.

აღნიშნული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას კომპანიამ გამოიყენა მხოლოდ სავალდებულო გამონაკლისები.

ფინანსური ანგარიშგების მომზადება მსს ფასს-ის შესაბამისად მოითხოვს მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების გამოყენებას. ასევე მოითხოვს ხელმძღვანელობამ გამოიყენოს მისი შეფასებები სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების პროცესში. სფეროები, რომელიც გამოირჩევა უფრო მაღალი ხარისხის მსჯელობებით ან სირთულით, ან სფეროები, სადაც შეფასებები და დაშვებები მნიშვნელოვანია სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგებისთვის, წარმოდგენილია მე-4 შენიშვნაში.

ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძველზე. ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძვლის მიზანშეწონილობის შეფასებისას, კომპანია ითვალისწინებს ფულადი ნაკადების საპროგნოზო მონაცემებს, მათ შორის პესიმისტურს და რეალისტურს და მათზე დაყრდნობით ამზადებს ამ ანგარიშს ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპების მიხედვით.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

უცხოური ვალუტა. ლარი არის შპს „ჯორჯიან პლასტიკ პაიპსის“ მთავარი საოპერაციო ვალუტა, ვინაიდან ლარი არის იმ ქვეყნის მთავარი საოპერაციო ვალუტა, რომელშიც კომპანია ფუნქციონირებს. კომპანიას ასევე გააჩნია უცხოურ ვალუტაში ოპერაციები.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და ბანკებში არსებულ მიმდინარე ანგარიშზე არსებულ ნაშთს.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები არის ჩვეულებრივი საოპერაციო საქმიანობის ფარგლებში გაწეული სერვისის სანაცვლოდ მომხმარებლებისგან მისაღები თანხები. იმ შემთხვევაში, თუ მოთხოვნის დაფარვა მოსალოდნელია საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ თორმეტი თვის განმავლობაში ან ნაკლებ პერიოდში (ან მიმდინარე საოპერაციო ციკლის მანძილზე, თუ ეს ბიზნესისთვის დამახასიათებელია), წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი კლასიფიცირდება როგორც გრძელვადიანი აქტივები.

ძირითადი საშუალებები.

- **აღიარება და შეფასება.** ძირითადი საშუალების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ აღირიცხება ისტორიული ღირებულებით, ცვეთის და გაუფასურების ზარალის გათვალისწინებით. მოგება ან ზარალი რომელიც წარმოიშობა ძირითადი საშუალებების ან მისი ერთეულის აღიარების შეწყვეტიდან (გაყიდვის ღირებულებას გამოკლებული საბალანსო ღირებულება) აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

- **შემდგომი დანახარჯები.** შემდგომი დანახარჯები შედის აქტივის მიმდინარე ღირებულებაში ან აღიარდება ცალკე აქტივად, საჭიროებისამებრ, მხოლოდ მაშინ, თუ მოსალოდნელია, რომ კომპანია მიიღებს აქტივთან დაკავშირებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს და აქტივის ღირებულების განსაზღვრა შესაძლებელია საიმედოდ. ჩანაცვლებული აქტივის საბალანსო ღირებულების აღიარება წყდება. შეკეთების და რემონტის ყველა სხვა ხარჯი აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იმ ფინანსურ პერიოდში, როცა ეს ხარჯები გაიწია.

- **ცვეთა.** აქტივის ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო მომსახურების ვადები საჭიროების შემთხვევაში გადაიხედება და რეგულირდება თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ძირითადი საშუალებაზე ან მის ცალკეულ ერთეულზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ როდესაც ის არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანილი, რაც აუცილებელია მის გამოსაყენებლად. თუ ძირითადი საშუალება ერთხელ შევიდა ექსპლუატაციაში მას ცვეთა ერიცხება ბოლომდე, თუ არ ამოხდა მისი გადატანა გასაყიდად გამიზნულად ან ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტისას.

მიწას ცვეთა არ ერიცხება. ძირითადი საშუალებებს ცვეთა ერიცხება წრფივი ცვეთის მეთოდით, ძირითადი საშუალების სასარგებლო მომსახურების ვადის შესაბამისად.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებია:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა
ნაგებობები	15-20
კომპიუტერული ტექნიკა და საოფისე ინვენტარი	3-10
მანქანა-დანადგარები	10-20

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

არამატერიალური აქტივები.

- **აღიარება და შეფასება.** არამატერიალური აქტივები მოიცავს განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე სააღრიცხვო პროგრამებს. ცალკე შეძენილი არამატერიალური აქტივები აღრიცხულია თვითღირებულებით დაგროვილი ამორტიზაციისა და გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

- **ამორტიზაცია.** ამორტიზება უნდა დაიწყოს მაშინ, როდესაც შესაძლებელია აქტივის გამოყენება, მაგ., როდესაც ის იმყოფება იმ ადგილზე და იმ მდგომარეობაში, როცა მისი გამოყენება შესაძლებელია ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნით. შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე არამატერიალური აქტივის ამორტიზებადი თანხა სისტემატურად უნდა გადანაწილდეს მის სასარგებლო მომსახურების ვადაზე.

არამატერიალურ აქტივებს ამორტიზაცია ერიცხებათ წრფივად სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში.

მარაგები. კომპანიის მარაგები თავდაპირველად აღირიცხება თვითღირებულებით, ხოლო შემდეგ ნეტო სარეალიზაციო ღირებულებასა და თვითღირებულებას შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ყველანაირ დანახარჯს და სხვა ხარჯებს, რომელიც გაწეულია მარაგების ახლანდელ მდებარეობასა და მდგომარეობაში მოსაყვანად. მაგალითად, ტრანსპორტირების ხარჯი და სხვა პირდაპირ მიკუთვნებადი ხარჯები.

კომპანია მარაგების აღრიცხვისთვის იყენებს საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდს.

სავაჭრო დებიტორული დავალიანება და სხვა მოთხოვნები. სავაჭრო დებიტორული დავალიანება გამოხატულია რეალიზაციის თანხით, კომპანიას არ გააჩნია საექვო ვალები. საექვო და უიმედო ვალების რეზერვი არ არსებობს კომპანიაში, ვინაიდან არასდროს არსებულა ობიექტური საფუძველი, რომ კომპანია ვერ შეძლებდა მხარეებს შორის შეთანხმებული პირობებით ანაზღაურების სრულად მიღებას.

სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებები. სავაჭრო დავალიანებების დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც მეორე მხარემ შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

სესხები. სესხები თავდაპირველად აღიარებულია რეალური ღირებულებით, შესაბამისი საოპერაციო ხარჯების გამოკლებით და შემდგომში ასახულია ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

გადასახადები. 2016 წლის მაისში საქართველოს მთავრობამ მიიღო ცვლილება მოგების გადასახადით დაბეგვრის შესახებ, რომელიც ძალაში შევიდა ყველა კომპანიისთვის, გარდა ფინანსური ინსტიტუტებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან. ახალი მოდელის მიხედვით გაუნაწილებელი მოგება არ იბეგრება, ხოლო განაწილებული იბეგრება 15%-იანი მოგების გადასახადის განაკვეთით, ნაცვლად წინა პერიოდებისა, როდესაც 15%-იანი მოგების გადასახადით იბეგრებოდა დაგროვილი მოგება განაწილების მიუხედავად. ცვლილების შედეგად, აქტივების და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს დროებითი სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება. შესაბამისად კომპანია აღარ აღიარებს მიმდინარე და გადავადებულ მოგების გადასახადს და საგადასახადო ხარჯი დაკავშირებული მოგების განაწილებასთან აღიარდება მიმდინარე პერიოდის სრული შემოსავლის ანგარიშგებაში შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების თარიღის შესაბამისად.

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

განუსაზღვრელი საგადასახადო პოზიციები. კომპანიის განუსაზღვრელი საგადასახადო პოზიციები თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხელახლა შეფასდება ხელმძღვანელობის მიერ. შეფასება ეფუძნება საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციას, რომლებიც ამოქმედდა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს და ამგვარი საკითხების შესახებ ცნობილია სასამართლოს ან სხვა განჩინებებით.

დამატებული ღირებულების გადასახადი. გაყიდვებთან დაკავშირებული დამატებული ღირებულების გადასახადი გადასახდელია საგადასახადო ორგანოებისთვის იმ თარიღისთვის, რომელი მოვლენაც უფრო ადრე დგება (ა) კლიენტებისგან მისაღები ავანსების შეგროვება ან (ბ) საქონლის ან მომსახურების მიწოდება. ის ოპერაციები რომელიც ექვემდებარება დღგ-ით დაბეგვრას ან შესაძლებელია დღგ-ს ჩათვლის მიღება, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარებულია დღგ-ით შემცირებული ღირებულებით.

კაპიტალი. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შევსებულია დამფუძნებლების მიერ. საწესდებო კაპიტალი აღიარდება დამფუძნებლების შენატანების რეალური ღირებულებით და კლასიფიცირებულია, როგორც წილობრივი ინსტრუმენტი.

შემოსავლების აღიარება. შემოსავლები შეფასებულია მიღებული ან მისაღები კომპენსაციის რეალური ღირებულებით და წარმოადგენს გაწეული მომსახურებისთვის მისაღები თანხის ოდენობას, დადგენილი შიდა შეღავათების ეფექტის გათვალისწინებით. კომპანია აღიარებს შემოსავალს, როდესაც შემოსავლის ოდენობა შეიძლება ობიექტურად შეფასდეს და როდესაც მოსალოდნელია რომ მოცემული ოპერაციიდან საწარმო მიიღებს წინასწარ შეთანხმებულ სარგებელს.

სხვა შემოსავალი. სხვა შემოსავლის აღიარება ხდება, როცა არსებობს რწმუნება, რომ კომპანია განხორციელებული ოპერაციებიდან მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია შემოსავლის ოდენობის საიმედოდ განსაზღვრა. შემოსავლის აღიარება ხდება მის მიღებაზე გაწეული ხარჯების გამოკლებით ოპერაციის განხორციელების პერიოდისათვის.

ხარჯების აღიარება. მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, შესაბამისი კრიტერიუმების დაკმაყოფილებისას.

კლასიფიკაცია მიმდინარე/გრძელვადიანის მიხედვით. კომპანია ფინანსური მდგომარეობის უწყისში აქტივებსა და ვალდებულებებს ყოფს მიმდინარე/გრძელვადიანი კლასიფიკაციით. აქტივი მიმდინარეა, თუ:

- მოსალოდნელია მისი გაყიდვა ან განკუთვნილია გასაყიდად ან მოსახმარებლად მომდევნო საანგარიშგებო პერიოდში და ძირითადად ინახება სავაჭრო მიზნებისთვის
- მოსალოდნელია მისი გაყიდვა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის ვადაში
- ის წარმოადგენს ნაღდ ფულს და ნაღდი ფულის ექვივალენტებს, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა გაყიწულია რაიმე ვალდებულების დაზღვევისთვის, საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში

ყველა სხვა აქტივი აღიარდება გრძელვადიანად.

ვალდებულება მიმდინარეა, თუ:

- მოსალოდნელია მისი დაფარვა მომდევნო საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში
- ძირითადად გამოიყენება სავაჭრო მიზნებისთვის
- მოსალოდნელია მისი დაფარვა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში
- არ არსებობს ვალდებულების გადახდის თარიღის გადავადების უპირობო უფლება, საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის შემდეგ

სხვა ყველა ვალდებულება აღიარდება გრძელვადიანად.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და დაშვებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის არსებულ გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გათვალისწინებით. მომავალ პერიოდებში მიღებული ფაქტიური შედეგი, შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

- **ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის შეფასება.** აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, მენეჯმენტი განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება.

- **საგადასახადო კანონმდებლობა.** მენეჯმენტი გაურკვეველ საგადასახადო მიდგომებს ხელახლა აფასებს ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ვალდებულებები აღიარდება იმ საგადასახადო მიდგომებისთვის, რაზეც ხელმძღვანელობის ვარაუდით საგადასახადო ორგანოები მაღალი ალბათობით დააკისრებენ კომპანიას დამატებით გადასახადებს, იმ შემთხვევაში, თუკი აღნიშნულ პოზიციებს სადავოდ გახდიათ. შეფასება ეყრდნობა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის ძალაში შესულ ან არსებითად ძალაში შესულ საგადასახადო კანონების ინტერპრეტაციას, აგრეთვე სასამართლოს ან სხვა რომელიმე ცნობილ გადაწყვეტილებას აღნიშნულ საკითხებზე.

შპს „ჯორჯიან პლასტიკ პაიპსი“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

4. შემოსავალი რეალიზაციიდან	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
შემოსავალი წყლის მიღების რეალიზაციიდან	243,256	1,011,329
შემოსავალი გაზის მიღების რეალიზაციიდან	4,095,445	4,533,861
სხვა შემოსავალი	13,977	17,111
ჯამი	4,352,678	5,562,300
5. რეალიზებული პროდუქტის თვითღირებულება	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
წყლის მიღების თვითღირებულება	(142,042)	(768,653)
გაზის მიღების თვითღირებულება	(2,368,465)	(2,976,691)
სხვა	(22,042)	(47,706)
ჯამი	(2,532,549)	(3,793,050)
6. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
შრომის ანაზღაურება	(428,057)	(312,506)
ცვეთა და ამორტიზაცია	(118,486)	(118,718)
საიჯარო ქირა	(32,542)	(32,542)
რემონტის ხარჯები	(2,625)	(7,802)
საყოფაცხოვრებო ხარჯები	-	-
ბანკის საკომისიო	(2,230)	(2,303)
მივლინების ხარჯები	-	-
წარმომადგენლობითი ხარჯები	-	-
კომუნიკაციის ხარჯები	(12,608)	(17,378)
კომპიუტერის და საკანცელარიო ხარჯები	(1,205)	(218)
საგადასახადო ხარჯი	(21,714)	(3,207)
სხვადასხვა ადმინისტრაციული ხარჯი	(18,973)	(16,196)
სხვა საოპერაციო ხარჯი	(8,173)	(4,219)
ჯამი	(646,613)	(515,089)

შპს „ჯორჯიან პლასტიკ პაიპსი“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

7. ძირითადი საშუალებები

	ნაგებობები	მანქანა-დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა		ჯამი
თვითღირებულება					
1 იანვარი 2022	154,900	1,103,153	6,495	1,737	1,266,285
შემოსვლა წლის განმავლობაში	-	-	-	-	-
გასვლა წლის განმავლობაში	-	-	-	-	-
31 დეკემბერი 2022	154,900	1,103,153	6,495	1,737	1,266,285
ცვეთა					
1 იანვარი 2022	(107,809)	(13,106)	(4,662)	(1,193)	(126,770)
ცვეთა წლის განმავლობაში	(7,745)	(110,200)	(589)	(184)	(118,718)
31 დეკემბერი 2022	(115,554)	(123,306)	(5,251)	(1,377)	(245,488)
ნეტო საბალანსო ღირებულება					
1 იანვარი 2022	47,091	1,090,047	1,833	544	1,139,515
31 დეკემბერი 2022	39,346	979,847	1,244	360	1,020,797
თვითღირებულება					
შემოსვლა წლის განმავლობაში	-	-	-	-	-
გასვლა წლის განმავლობაში	-	-	-	-	-
31 დეკემბერი 2023	154,900	1,103,153	6,495	1,737	1,266,285
ცვეთა წლის განმავლობაში	(7,745)	(110,199)	(419)	(122)	(118,485)
31 დეკემბერი 2023	(123,299)	(233,505)	(5,670)	(1,499)	(363,973)
ნეტო საბალანსო ღირებულება					
31 დეკემბერი 2023	31,601	869,648	825	238	902,311

შპს „ჯორჯიან პლასტიკ პაიპსი“**ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები**

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

8. მარაგები	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
ნედლეული და მასალები	839,032	883,542
მზა პროდუქცია	186,144	131,046
სხვა მასალები	3,291	3,291
ჯამი	1,028,467	1,017,879
9. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
სავაჭრო მოთხოვნები	1,812,176	968,181
გადახდილი ავანსები	980,372	598,029
საგადასახადო აქტივი	-	83,825
სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები		3,207
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	2,792,548	1,653,242
10. ფული და ფულის ექვივალენტები	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
ფული ბანკში	105,724	247,732
ფული სალაროში	168	30
ჯამი	105,892	247,762
11. სავაჭრო ვალდებულებები და მიღებული ავანსები	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
სავაჭრო ვალდებულებები	128,596	104,712
მიღებული ავანსები	1,770	6,607
საგადასახადო ვალდებულება	61,257	-
გადასახდელი დივიდენდი	300,000	-
ჯამი	489,138	111,012